# ვაკანსიის № 94132

| | |
|---|---|
| პოზიციის დასახელება | ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილებაში სტაჟიორი |
| კონკურსის ტიპი | სტაჟირება |
| ორგანიზაცია | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია |
| კატეგორია | იურიდიული |
| განცხადების ბოლო ვადა | 10.09.2025 |
| თანამდებობრივი სარგო | 438 ლარი |
| ადგილების რაოდენობა | 1 |
| სამსახურის ადგილმდებარეობა | წყალტუბო |
| სამუშაოს ტიპი | სრული განაკვეთი |

## ფუნქციები

ა) იურიდიულ საკითხთა განყოფილების მიერ განსახილველ წერილებზე პასუხის პროექტების მომზადება;
ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
გ)სასამართლოში წარსადგენი საპროცესო დოკუმენტაციის (სარჩელი, განცხადება, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი) პროექტების მომზადება;

## მოთხოვნები

| | |
|---|---|
| მინიმალური განათლება | სტუდენტი |
| პროფესია | იურისტი |

## საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"
გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი' (I-IV,VI, XIII თავები);
დ) საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ'';
ე),,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბერის 42 დადგენილება;

## კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

| პროგრამის დასახელება | ცოდნის დონე |
|---|---|
| Microsoft Office Word | კარგი |
| Microsoft Office Excel | კარგი |

## საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის მისამართი | ქ. წყალტუბო, რუსთაველის N25 |
| საკონტაქტო ტელეფონები | 595085373 |
| საკონტაქტო პირი | იზაბელა დოლაბერიძე |

## დამატებითი მოთხოვნები

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

. იცის სახელმწიფო ენა;
. სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;
. შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვროს სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრება (GPA 2.7-4.0 ან/და ქულათა სისტემა – 71-100 ქულის მაჩვენებელი)

## დამატებითი ინფორმაცია

ანაზღაურებადი სტაჟირების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს

სტაჟირების მსურველმა პირმა უნდა წარადგინოს:
1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ინფორმაცია სწავლის საფეხურისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (აუცილებელია, კანდიდატმა hr.gov.ge-ის განათლების ველში მიუთითოს: საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესია და ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან GPA);
3. სამოტივაციო წერილი;

კანდიდატს - არ ევალება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტის შესახებ ცნობის ან აკადემიური მოსწრების (ქულათა საშუალო მაჩვენებელი ან/და GPA) გამოთხოვა და hr.gov.ge-ზე ატვირთვა. აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვას აპლიკანტის თანხმობის საფუძველზე, განახორციელებს შესაბამისი ორგანიზაცია, აპლიკანტის მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. მხოლოდ უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში, აუცილებელია, კანდიდატმა ატვირთოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
განაცხადის გამოგზავნით კანდიდატი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ მოთხოვნებს, ფუნქციებსა და პირობებს. ასევე, ის თანახმაა, თავის განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს სტაჟიორის შერჩევის მიზნებით და ასევე, გამოთქვამს თანხმობას ამავე კონკურსის ფარგლებში კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიების/გადამოწმების თაობაზე.

პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
- იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
- იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
- მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
- იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

– გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ უმაღლესი აკადემიური მოსწრების კანდიდატებს;

მნიშვნელოვანია, რომ იმ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირება, სადაც მუშაობა ითვლება საჯარო სამსახურად, ჩაითვლება საჯარო სამსახურის სტაჟში, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შემავალ საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირში სტაჟირება - საერთო სტაჟში/სამუშაო გამოცდილებაში.

## გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

სტაჟირების მსურველი პირის შეფასებას განახორციელებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შექმნილი კომისია, არაუგვიანეს პირველი ოქტომბრისა.

## კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება